# ლიდერის დამარცხება

ძველი მეტოქეების – მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” ოსტატთა გუნდების შეხვედრა ყოველთვის მძაფრ ბრძოლაში მიმდინარეობს და პრინციპული ხასიათი აქვს. მაყურებელი ამჯერადაც ასეთ თამაშს ელოდა 19 აპრილს.

ესტონელი მსაჯის ე. საარის სასტვენზე სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბონდარენკომ ბურთი თამაშში შეიყვანა. იგი მიიღო სალნიკოვმა (#10), გავიდა მარცხენა ფლანგზე და კართან ჩააწოდა. აქ მცველებმა მოიგერიეს ბურთი და წინ გადასცეს. რამდენიმე გრძელი გადაცემის შემდეგ სახიფათო მდგომარეობა მოსკოველთა კართან შეიქმნა და მარჯვენა მცველმა როდიონოვმა ბურთი პირით ხაზს იქით გადააგდო. ღოღობერიძის მიერ მოწოდებულ კუთხურ საჯარიმოს სტუმრები დაეუფლნენ, ბურთი ცენტრში გაათამაშეს და სალნიკოვმა ზუსტად გაიყვანა დარტყმაზე ბონდარენკო.

ყველაფერი ეს გათამაშდა მატჩის პირველ წუთებში. მაყურებელთა მოლოდინი მართლდებოდა, მაგრამ 22 ფეხბურთელს თითქოს უცბად გაახსენდა, რომ თამაში მეტად საპასუხისმგებლო და პრინციპული იყო და ორივე გუნდმა ერთბაშად მოუკლო ტემპს, ფეხბურთელებმა სწრაფად დაიხიეს “წინასწარ მომზადებულ” პოზიციებზე და თავის ზონებში ჩაიკეტნენ. განმეორდა ის ამბავი, რაც მოსკოვის “სპარტაკთან” მოხდა – მოთამაშეები ფრთხილობდნენ, სარისკო კომბინაციებს ერიდებოდნენ და მოწინააღმდეგის შცდომის მოლოდინში ადგილობრივი მნიშვნელობის გადაცემებით კმაყოფილდებოდნენ.

28–ე წუთზე სტუმრების საჯარიმო მოედანზე მოწოდებულ იქნა ბურთი. მეკარე იაშინი საჯარიმო მოედნის ხაზამდე გამოვიდა და სუსტად გადაიყვანა ბურთი მარცხნივ. ბურთი მიიღო კოტრიკაძემ და სანამ მეკარე კარში დაბრუნდებოდა შორიდან ზუსტად, ძლიერად დაარტყა კარში. 1:0.

გატანილმა ბურთმა თამაში გამოაცოცხლა, სტუმრები მთელი ძალით ამოქმედდნენ, რასაც კიდევ უფრო სწრაფი ტემპით უპასუხეს მასპინძლებმა. საგრძნობლად გააქტიურდა მარჯვენა ფრთა, ამოძრავდა კ. გაგნიძე, სულ უფრო ხშირად ჩანდნენ თავდასხმაში მახარაძე და ანთაძე.

მეორე ტაიმი დაიწყო იმით, რომ თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო. სავდუნინმა 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარის მაღალ კუთხეში. მარღანიას დაგვიანებულმა ნახტომმა ვერ მოუსწრო ბურთს და ანგარიში გათანაბრდა – 1:1. ზედმეტი არ იქნება ითქვას, რომ მარღანიამ ტრადიციად შემოიღო ყოველ თამაშში შორი მანძილიდან გაუშვას ბურთი სავდუნინისაგან. ასე იყო შარშანდელი ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაშიც.

მე–8 წუთი. მახარაძე მოედნის სიღრმიდან დრიბლინგით გავიდა წინ და მარცხნივ, გაიყოლია მცველები და უცბად მარჯვნივ მიაწოდა კოტრიკაძეს. 12–14 მეტრის მანძილზე პირისპირ დარჩნენ კოტრიკაძე და იაშინი. მეკარემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მაშინვე გამოვიდა წინ, თავდამსხმელი კი შეცდა. ბურთი ჯერ გააჩერა და მერე კარისკენ გაიჭრა. მისი ყოველი ნაბიჯი ამცირებდა გოლის გატანის შესაძლებლობას. იაშინმა დაასწრო და მოსკოველთა კარი უეჭველ გოლს გადარჩა.

ამ შემთხვევამ საფუძვლიანი გარდატეხა შეიტანა თამაშში. მატჩის დამთავრებამდე მოედანზე ჩანდა მხოლოდ ერთ გუნდი – მოსკოვის “დინამო”. მოსკოველები სწრაფად მოძრაობდნენ, ზუსტად ანაწილებდნენ ბურთებს, თავდამსხმელები ყოველთვის პოულობდნენ თავისუფალ ადგილს ბურთის

მისაღებად, კარგად იყვნენ შეთამაშებული. ხშირად იცვლიდნენ ადგილებს. ისინი მასპინძლებზე უკეთესად მომზადებული აღმოჩნდნენ ფიზიკურადაც და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდნენ მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში, მოედნის შუაგული მათი შეუნელებელი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. თბილისელებმა მთლიანად დათმეს თამაში. მათ ვერც ერთი კომბინაცია ვერ გაითამაშეს, თავდასხმა კარგავდა ყოველ ბურთს, კალოევი მთლიანად გამოეთიშა პარტნიორებს და არც ამჟღავნებდა ბურთისათვის ბრძოლის სურვილს, ერთფეროვნად, პრიმიტიულად თამაშობდა თოდრია. მთელი სიმძიმე დააწვა დაცვას.

მე–19 წუთზე თბილისის "დინამოს" მარჯვენა მცველი ელოშვილი თავის ერთ–ერთ მორიგ "ექსკურსიაზე" გაემართა მეზობელ ზონაში და "ღვთის ანაბარად" დატოვა ილინი (#11). სალნიკოვმა წამსვე გადასცა მას ბურთი. ილინმა მიიღო იგი და ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა – 2:1.

მეორე გოლმა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შეიტანა მოსკოველთა თამაშში და კიდევ უფრო აურია მასპინძელთა გეგმები. სტუმრების იერიშები განუწყვეტლივ ცვლიდა ერთიმეორეს, ბურთი შეუჩერებლად მოძრაობდა მოთამაშეთა შორის. მალე სავდუნინნა ერთხელ კიდევ დაარტყა კარში, ბურთს გზაში ილინმა შეუცვალა მიმართულება, მაგრამ მეკარემ აიღო იგი.

თამაშის ბოლო წუთებში თბილისელები რამდენჯერმე გამოჩნდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ამ შეტევებს გეგმაზომიერი ხასიათი არ ჰქონია, ეს იყო სტიქიური იერიშები აგებული მცველთა მიერ მოგერიებულ ბურთებზე.

მატჩის ანგარიში 2:1 მოსკოვის "დინამოს" სასარგებლოდ აღარ შეცვლილა. გათამაშების ლიდერმა, თბილისის "დინამომ" განიცადა პირველი დამარცხება.

დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1.

რ. ქორიძე.
"ლელო", 21 აპრილი, 1954 წ.